თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2243333

ნომერი: AR1336664

თარიღი : 07.10.2015

გაცემის თარიღი : 15.10.2015

გაცნობის თარიღი : 16.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N 005/055) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ლაცაბიძე პ/ნ 01023004395
- თბილისი სანზონა კორ. 18გ ბ. 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1336664 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეჭვი შეგაქვთ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. #64-ში (ნაკვეთი #005/055) (საკ. კოდი #01.12.01.005.097) სამსახურის მიერ შეთანხმებული მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის კანონიერებაში.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2015 წლის 07 აპრილის #1826992 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. #64-ში (ნაკვეთი #005/055), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.12.01.005.097) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1292446; განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ 2015 წლის 07 აპრილის (#1826992 გადაწყვეტილება) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის 2012-2014 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო, დაინტერესებაში არსებული ობიექტის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.